899.962.1 (092)
ს-287

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ზეინაბ სარია

გალაკტიონ ტაბიძის ინტიმურ-მედიტაციური და სამოქალაქო-პუბლიცისტური ლირიკა

10. 01. 01. – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

ოფიციალური ოპონენტები: 1. **სოსო სიგუა**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
(10.01.10)
2. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
(10.01.01)
3. **ლუარა სორდია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
(10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 14 ივნისს 13³⁰ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს (P. 10. 10. №4) სხდომაზე

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 28 მაისს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი (ნ. ტაბიძე)

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

- 2070 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. უმკაცრესი მეოცე საუკუნე იხილა გალაკტიონმა თავისი კატაკლიზმებით, მსოფლიო ომებით, ამა ქვეყნის ძლიერთა დიქტატით ტვიფარდადებული. მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით ენაცვლებოდა ერთმანეთს. 1917 წელს დაიშალა რუსეთის იმპერია. 1918 წელს გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მერე იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა, ბრძოლები კოჯორში, ტაბახმელასთან, მთავრობის გაქცევა, დიდი ეროვნული ტკივილი. წითელმა ჯარმა დაამარცხა ქართველთა მცირერიცხოვანი არმია, დაამხო დემოკრატიული მთავრობა. ქვეყანაში დამკვიდრდა კომუნისტური რეჟიმი.

შემდეგ იყო საბჭოთა სინამდვილე და ლიტერატურული მეთოდი– სოციალისტური რეალიზმი, რომელიც ქვეყნის ცხოვრების წინა ფასადს ალამაზებდა, ერთადერთი სწორი აზრის იდეას ამკვიდრებდა და უკონფლიქტო საზოგადოებას იგონებდა. ხელოვანი, ცხადია, ამგვარ ვითარებაში იყო შებოჭილი. მოქმედებდა იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფი ლიტერატურული კრიტიკა. საბჭოთა სინამდვილეში ხელისუფლებამ მას ერთი მისია დააკისრა —იდეოლოგიური კონტროლი. როგორც ვხედავთ, კრიტიკა ემსახურებოდა ოფიციოზს და არა ლიტერატურის განვითარებას.

გალაკტიონის ცხოვრების დიდი პერიოდი საბჭოთა ხანაში წარიმართა, ეს კი ის ეპოქა იყო, როდესაც ქვეყნის ოფიციოზი ცდილობდა მწერლობისთვის გარკვეული მიმართულება მიეცა და სასურველ კალაპოტში მოექცია. კომპარტია ითხოვდა, რომ ლიტერატურული ნაწარმოები მასებისთვის გასაგები ენით ყოფილიყო დაწერილი.

მიუხედავად ამისა, გალაკტიონი ქმნიდა პირველხარისხოვან პოეზიას, რომელიც, მართალია, კონიუნქტურის მღვრიე შენაკადებსაც ირთავდა, მაგრამ, რაც მთავარია, ამჟღავნებდა იმგვარ განუმეორებელ პოეტურ ფენომენს, რომ მეოცე ასწლეული სწორედ მისი სახელით გამორჩეულიყო ქართულ პოეზიაში. ცამეტი–თხუთმეტი წლის წინ იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფი ლიტერატურული კრიტიკა გალაკტიონს სხვა რაკურსით კითხულობდა და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებაშიც სხვა თვალთახედვა იყო გაბატონებული. არასწორად ისწავლებოდა ეპოქის უპირველესი მესიტყვის შემოქმედება საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ტრადიციულად მუშავდებოდა ამგვარი თემები: ორი პერიოდი გალაკტიონის შემოქმედებაში, გალაკტიონი – ოქტომბრის რევოლუციის ტრიბუნი, გალაკტიონი – საბჭოთა ცხოვრების მომღერალი და ა.შ. მართალია, შეინიშნებოდა კეთილსინდისიერი მითითებები მის